ქვეპროგრამის დასახელება: დაავადებათა სკრინინგი

ვინ არის ქვეპროგრამის მიმწოდებელი?

ქვეპროგრამის მიმწოდებელს წარმოადგენს პირი, რომელიც გამოთქვამს ქვეპროგრამით გათვალისწინებული კომპონენტის/ების ფარგლებში მომსახურების მიწოდების სურვილს და წერილობით დაუდასტურებს ქვეპროგრამის განმახორციელებელს ქვეპროგრამაში მონაწილეობის სურვილს, აკმაყოფილებს ქვეპროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ დამტკიცებული სარეგისტრაციო განაცხადით ეთანხმება ვაუჩერის პირობებს.

N	დაწესებულება	კომპონენტი					მისამართი	ტელეფონი
		ძუძუს კიბოს სკრინინგი	საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი	პროსტატის კიბოს მართვა	კოლორექტული კიბოს სკრინინგი	ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა		
1	ა(ა)იპ "ეროვნული სკრინინგ ცენტრი"	V	V	V	V	V	ქ. თბილისი, წერეთლის გამზ N69; კალოუბნის ქ. N12; გლდანი მე4 მ/რ 113; ალექსიძის ქ. N1	2 20 35 35
2	შპს "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"	V	V	V	V	V	ქ.თბილისი, თენგიზ აბულაძის ქ.N20	2 25 39 38
3	შპს "მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა"	V	V	V	V	V	ქ.თბილისი, ა.პოლიტკოვსკაიას N6გ	2 30 45 02
4	შპს კავკასიის მედიცინის ცენტრი	V	V		V		ქ.თბილისი, პ.ქავთარაძის ქ, N23	2 55 05 05
5	ა(ა)იპ "ბერძნული ფონდი ჰიპოკრატე"	V	V	V	V	V	ქ.თბილისი, ე.ნინოშვილის ქ. N23	2 91 06 01
6	შპს "ულტრამედი"		V	V	V	V	ქ. თბილისი, ზღვის უბანი, ურეკის ქ. N15	2 70 27 02
7	შპს "თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი"	V	V				ქ.თბილისი, ლუბლიანას ქ. N5	599 43 21 01
8	შპს "საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი"		V			V	ქ.თბილისი მ.წინამძღვრიშვილის ქ. N57	2 95 38 22
9	სს კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი		V	V			ქ. თბილისი, ჩაჩავას ქ. N5	2 02 25 25
10	სს კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი "ახალი სიცოცხლე"	V	V	V	V		ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N29	577 05 99 00 ; 212 25 25
11	შპს აკ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია, მეტაბოლოგია, დიეტოლოგიის ცენტრი „ენმედიცი" - ვაკის ფილიალი		V	V		V	ქ. თბილისი, არაყიშვილის N2	2 22 40 45 ; 2 48 38 38
12	შპს „დავით მეტრეველის სამედიცინო ცენტრი"					V	ქ. თბილისი, წინანდლის ქ. N21	2 19 02 19
13	შპს დიაკორი					V	ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N5	2 518 718

14	შპს დიაბეტის კვლევის ეროვნული ცენტრი					V	ქ. თბილისი, ჩაჩავას ქ. N1	2 51 76 54
15	შპს კლინიკა კორტექსი					V	ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. N72	2 188 040
16	შპს „სამედიცინო ჰოლდინგი 23“					V	ქ.თბილისი ხიზანიშვილის ქ. N28	555 796 552
17	შპს „MEDHOUSE“			V		V	ქ. თბილისი, გლდანი, მ.აბაშიძის ქ. N7	568 050 303
18	შპს თბილისის ცენტრალური საავადმყოფო					V	ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N5	2 104 444
19	შპს MEDGE					V	ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. N27	570 10 88 66
20	სს ქ. თბილისის მოზრდილთა 26-ე პოლიკლინიკა					V	ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. N26	2 390 417
21	შპს სამკურნალო - სადიაგნოსტიკო ცენტრი სამგორი მედი			V		V	ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი, N23	2 78 67 77 ; 2 55 03 74
22	სს „ვიანი-ივანე ბოკერიას სახელობის რეფერალური ჰოსპიტალი“					V	ქ. თბილისი, ქინძმარაულის შეს. N1	2 55 05 05
23	სს „მეგალაბი“		V				ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. N23	2 05 11 11
24	თსსუ პათოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო და დიაგნოსტიკური ლაბორატორია		V				ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N. 33	2 54 25 91
25	შპს „ბავშვთა და მოზრდილთა ჯანმრთელობის ცენტრი“		V				ქ. თბილისი, თიანეთის ქ. N137	2 61 31 03
26	შპს "ჩვენი კლინიკა + ონკოლოგიური დისპანსერი"		V				ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. N13	2 34 62 87
27	შპს „ჯეო ჰოსპიტალს“ - თბილისის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი			V			ქ. თბილისი, წინანდლის ქ. N9	2 50 52 22

რას მოიცავს ქვეპროგრამა?

ქვეპროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, რომელიც მოიცავს:
ა.ა) ძუძუს ფიზიკალურ გასინჯვას და მამოგრაფიულ გამოკვლევას 2 პროექციაში (2 რადიოლოგის მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წაკითხვით, ხოლო რადიოლოგთა მიერ განსხვავებული შეფასებებისა და/ან სკრინინგული დიაგნოსტიკის საჭიროების შემთხვევაში, კონსესუს კონფერენციას, რომელსაც უძღვება შემთხვევის ლიდერი მე-3 რადიოლოგი.);
ა.ბ) პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში ძუძუს ულტრაბგერით გამოკვლევას;
ა.გ) საჭიროების შემთხვევაში, ბიოფსიური მასალის აღებას და ციტოლოგიურ კვლევას.

ბ.ა) საშვილოსნოს ყელის დათვალიერებას და პაპ-ტესტის (PAP–ტესტი) ჩატარებას ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით 25 წლიდან 30 წლამდე ასაკის ქალებში;
ბ.ბ) საშვილოსნოს ყელის დათვალიერებას, მასალის აღებას და HPV დნმ-ის განსაზღვრის ტესტის ჩატარებას 30 წლიდან 60 წლის ასაკის ჩათვლით ქალებში;
ბ.გ) HPV ტესტით დადებითი შემთხვევების ტრიაჟს სითხეზე დაფუძნებული ციტოლოგიის საფუძველზე;

ბ.დ) „ბ.ა“ და „ბ.ბ“ ქვეპუნქტებით გაწეული მომსახურებისას პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში კოლპოსკოპიას;
ბ.ე)საჭიროების შემთხვევაში, კოლპოსკოპიისას ბიოფსიური მასალის აღებას და ჰისტოლოგიურ კვლევას;

გ) პროსტატის კიბოს მართვა 50-70 წლის ასაკის ჩათვლით მამაკაცებში, რომელიც მოიცავს სისხლში პროსტატის კიბოს ანტიგენის (PSA) გამოკვლევას;

დ) კოლორექტული კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ასაკის ჩათვლით ორივე სქესისთვის, რომელიც მოიცავს:
დ.ა) ფარულ სისხლდენაზე სპეციალური ტესტის (FOBT) ჩატარებას;
დ.ბ) პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში კოლონოსკოპიურ კვლევას;
დ.გ) საჭიროების შემთხვევაში, კოლონოსკოპიისას ბიოფსიური მასალის აღებას და ჰისტოლოგიურ კვლევას.

ე) ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პილოტი 25-70 წლის ასაკის ჩათვლით რისკის მქონე ქალებში, რომელიც მოიცავს:
ე.ა) ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერით გამოკვლევას;
ე.ბ) პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში სისხლის თირეოტროპული ჰორმონის გამოკვლევას;
ე.გ) საჭიროების შემთხვევაში, ბიოფსიური მასალის აღებას და ციტოლოგიურ კვლევას;
ე.დ) ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პროცესის მეთვალყურეობას ენდოკრინოლოგის მიერ.

ვის შეუძლია ქვეპროგრამით სარგებლობა?

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბაზაში რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი. ამასთან, ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის კომპონენტის მოსარგებლეები არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები (მ.შ. იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი თბილისი)

როგორ უნდა ჩაერთოს მოსარგებლე პირი ქვეპროგრამაში?

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად მოსარგებლეთა ქვეპროგრამაში ჩართვა ხორციელდება ქვეპროგრამის მიმწოდებელთან მიმართვის შემთხვევაში ან მიმწოდებლის მიერ მოსარგებლის ორგანიზებულად მოზიდვის/მოწვევის გზით.

* პროსტატის კიბოს მართვის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების მიღება შესაძლებელია ოჯახის ექიმის ან შესაბამისი სპეციალისტის მიმართვის საფუძველზე,

** ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების მიღება შესაძლებელია შესაბამისი რისკის მქონე ქალებისთვის, რომელიც აკმაყოფილებენ განმახორციელებლის მიერ დამტკიცებულ კრიტერიუმებს.

რა მოცულობით ფინანსდება მომსახურება?

დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურება ფინანსდება სრულად, პაციენტის მხრიდან თანაგადახდის გარეშე.